ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 ნოემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 22 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 25

დ. ხარაგაული

22 ნოემბერი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომა მიმდინარეობდა ნაწილობრივ სხდომათა დარბაზში დასწრებით და ონლაინ ჩართვით

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (ონლაინ),

ოთარ ლურსმანაშვილი საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ,

გივი თხელიძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მრეწველები " თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია **„ მოძრაობა ხარაგაულისათვის"** თავმჯდომარე.

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე (ონლაინ).

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - აპარატის უფროსი,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,

ი. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შათირიშვილი - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ს. გლუნჩაძე - მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მ. შარიქაძე - ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე ,

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

ი. მაღრაძემ - მან დააყენა წინადადება საკრებულოს სხდომაზე მოწვეული იქნენ იმ ა.ა.ი.პ ხელმძღვანელები, რომელთა მოთხოვნის საფუძველზე უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო ცვლილება, რადგან მათთან მაქვს შეკითხვები.

პ. კიკალიშვილმა განმარტება მოითხოვა რას ნიშნავდა სასამართლო ხარჯები და ვალდებულებების ხარჯი.

ვ. **გელაშვილმა** განმარტება მისცა დასმული შეკითხვების შესახებ შეკითხვის ავტორს.

მ. **ბარბაქაძე** დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის ა.ა.ი. პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის „ საქმიანობა და აღნიშნ, რომ ამ მძიმე პანდემიის პირობებში თავდაუზოგავად შრომობენ და მაღალკვალიფიციურად ასრულებენ თავის მოვალეობას, მე თანახმა ვიქნებოდი თუნდაც მეტი თანხა გამოგვეყო მათთვის, ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიებს, განხილვა და შესაბამისად დასკვნის წარმოდგენა

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2021 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე